სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

48120536387121

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N210600730

რეგისტრაციის თარიღი

15.06.2021 წ

ნოტარიუსი: ნუნუ კაკოჩაშვილი
მისამართი: ქ.თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი #67- ის მიმდებარედ.
ტელეფონი: 2 30 69 98; 591 70 99 72

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო
სანოტარო აქტი

ორი ათას ოცდაერთი წლის თხუთმეტ იანვარს, მე, ნოტარიუს **ნუნუ კაკოჩაშვილს,** რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი №67-ის მიმდებარედ მომმართა შპს "მერიდიანი 2007"-ის (რეგისტრირებული: 05/06/2007წელს, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, ქ. წამებულის გამზ., №71, საიდენტიფიკაციო კოდი: 206284876) დირექტორმა **გოჩა ლომიძემ.** მან განაცხადა, რომ სურს მინდობილობის შედგენა და მოითხოვა მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **გოჩა ლომიძემ** (დაბ.:03.07.1963წელს, მისამართი: **თბილისი ც.დადიანის II შეს. N 4**, პირადი № 01020004221), მომმართა. მე შევამოწმე მისი უფლებამოსილება. იგი უფლებამოსილია წარმოადგინოს ზ/აღნიშნული შპს თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B18182807. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მას ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. მე დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა და მინდობილობის შინაარსი, შემდეგ შევადგინე მინდობილობა, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მას. მან წაიკითხა მინდობილობა და მკაფიოდ და ნათლად განაცხადა, რომ მინდობილობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას. მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

შპს **"მერიდიანი 2007"-ის** (რეგისტრირებული: 05/06/2007წელს, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, ქ. წამებულის გამზ., №71, საიდენტიფიკაციო კოდი:206284876) დირექტორმა **გოჩა ლომიძემ** (დაბ.:03.07.1963წელს, რეგ. მისამართი: **თბილისი ც.დადიანის II შეს. N 4**, პირადი № 01020004221), რომელიც შემდეგში წოდებულია როგორც „მიმნდობი," "მიმნდობი", **ბექა ჩიქობავას** (დაბ.: 17.10.1992წელს, პირადი № 01030051627), შემდგომში წოდებული, როგორც "მინდობილი პირი", წესდებით მინიჭებული **უფლებამოსილების ფარგლებში** მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

„მინდობილი პირი" უფლებამოსილია აწარამოოს შპს-ს სახლზე რეგისტრირებულ ნებისმიერ უძრავ ქონებებზე, სამშენებლო, სარეკონსტრუქციო და საპროექტო სამუშაოები, წარადგინოს პროექტი დასამტკიცებლად, შეათანხმოს კორექტირებული პროექტი, შეათანხმოს შესაბამის სამსახურებთან, წარადგინოს და მიიღოს შესაბამისი განცხადებები, დოკუმენტები, პროექტები, მიიღოს მშენებლობის ნებართვა, შეაგროვოს ყველა საჭირო საბუთი, „მიმნდობის" სახელით მშენებლობასთან დაკავშირებით გასცეს ნებისმიერი შინაარსის თანხმობა, განცხადება, გაიყვანოს კომინიკაციები (შუქი, გაზი, წყალი, ინტერნეტი),შეიძინოს კოეფიციენტი, ამასთან დაკავშირებით მინდობილი პირი უფლებამოსილია წარმოადგინოს და დაიცვას მიმნდობის ინტერესები ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციებთან, მესამე პირებთან ურთიერთობებში, ასევე, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, იუსტიციის სახლში, ადგილობრივი ოვითმმართველობის ორგანოებში (მერია, გამგეობა საკრებულო), ლეგალიზაციის კომისიაში, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში, მერიის ურბანული დაგეგმარების სამსახურში, არქიტექტურის სამსახურში, **სანოტარო ბიუროში, მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია, გადაიხადოს ნებიმიერი გადასახადები, ჩააბაროს და ხელზე მიიღოს ნებისმიერი ცნობები, მოწმობები, დოკუმენტები, ხელი მოაწეროს საჭირო დოკუმენტებს და შეასრულს ნებისმიერი ის მოქმედება რაც დაკავშირებულია ზ/აღნიშნული დავალების შესრულებასთან.**

მინდობილობა გაცემულია მიმნდობის/შპს-ს უძრავი ქონების გაყიდვის/განკარგვის გარეშე.

მინდობილობა გაცემულია განუსაზღვრელი ვადით, გადანდობის უფლების გარეშე.

წინამდებარე მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარძნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუსის სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა „მიმნდობს".

წინამდებარე მინდობილობა „მიმნდობს" ხმამაღლა წაეკითხა ნოტარიუსმა. „მიმნდობმა" მოიწონა წინამდებარე მინდობილობა და მას ხელი მოაწერა პირადად და ნოტარიუსის თანდასწრებით.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური: ათი (10) ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილება №507 (2011 წლის 29 დეკემბერი ქ. თბილისი) სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურეობის ვადების დამტკიცების შესახებ 31-ე მუხლისა, აგრეთვე დღგ: ერთი (1) ლარი და ოთხმოცი (80) თეთრი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა, ორი (2) ლარი თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილება №507-ის 39-ე მუხლისა, სულ გადახდილია: ცამეტი (13) ლარი და ოთხმოცი (80) თეთრი.

მიმნდობი: გოჩა ლომიძე

ნოტარიუსი: _____ / ნუნუ კაკოჩაშვილი /